MOORE abc, LLC
2, D. Gamrekeli Str.,
0160, Tbilisi, Georgia
T +995 32 2 000 123
E info@moore.ge
www.moore-georgia.ge

შეთანხმებული პროცედურების ანგარიში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შპს „საფეხბურთო კლუბ გაგრა“-ს შესახებ, ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულებებთან დაკავშირებით

ჩვენ განვახორციელეთ თქვენთან შეთანხმებული და ქვემოთ ჩამოთვლილი **შპს „საფეხბურთო კლუბ გაგრა“ (შემდგომში კლუბი)** მიერ ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც ჩამოყალიბებულია ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულებების ცხრილში **(იხ. დანართი 1)**. ჩვენი დაქირავება მოხდა დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (ISRS 4400 გადასინჯული) შესაბამისად, რომელიც გამოიყენება შეთანხმებული პროცედურების შესასრულებლად დაქირავებისას. ჩვენ არანაირ განცხადებას არ ვაკეთებთ შეთანხმებული პროცედურების შესაბამისობასთან დაკავშირებით. პროცედურები განხორციელდა უშუალოდ საფეხბურთო კლუბისთვის მის სალიცენზიო განაცხადთან დაკავშირებით და შეჯამდა შემდეგნაირად:

სამუშაოს მოცულობა

ჩვენი სამუშაო შედგებოდა შემდეგი პროცედურებისგან:

1. ტრანსფერების ცხრილში მოცემული ჯამური თანხის შეჯერება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებულ ვალდებულების“ თანხასთან.

2. ტრანსფერების ცხრილის არითმეტიკული სიზუსტის შემოწმება.

3. ყველა ან გარკვეული რაოდენობის ფეხბურთელების ტრანსფერის/იჯარის შერჩევა, შესაბამისი ხელშეკრულებების შედარება ტრანსფერების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან და შერჩეული ტრანსფერების/იჯარის მონიშვნა.

4. ტრანსფერის ყველა გადახდის ან შერჩევითი შემოწმება, რაც მოიცავს მათ შედარებას ტრანსფერების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან და შერჩეული გადახდების მონიშვნას.

5. თუ, 2025 წლის 31 მარტის მდგომარეობით არსებობს გადახდის ვალდებულება, რომელიც ეხება გასული წლის 2024 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელებულ ტრანსფერს, უნდა გაირკვეს 2025 წლის 31 მარტამდე:

   (i) მიღწეულია თუ არა შეთანხმება გადახდის გადავადების შესახებ; ან
   (ii) ხომ არ წარმოიშვა დავა/საჩივარი/სასამართლო პროცესი; ან
   (iii) გატარდა თუ არა ყველა გონივრული ზომა დანართის შესაბამისად

6. გადახდასთან დაკავშირებულ ყველა ან შერჩევით საბანკო ამონაწერების შემოწმება.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

ქვემოთ გიდგენთ ანგარიშს ჩატარებული პროცედურების და შედეგების შესახებ:

1. ტრანსფერების ცხრილში **(დანართი 1)** მოცემული ჯამური თანხა შევაჯერეთ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებულ ვალდებულების“ თანხასთან. შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

2. ჩვენ შევამოწმეთ ტრანსფერების ცხრილის არითმეტიკული სიზუსტე. შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

3. ჩვენ დავადგინეთ რომ, 2024 წელს იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, კლუბში განხორციელდა ოთხი ფეხბურთელის ტრანსფერი/იჯარა. შესაბამისად, მოვიძიეთ ფეხბურთელების ტრანსფერის/იჯარის ხელშეკრულებები **(დანართი 2, დანართი 3, დანართი 4** და **დანართი 5)**. დავადგინეთ, რომ სამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა უსასყიდლო იჯარას, ხოლო მეოთხე შემთხვევაში სატრანსფერო ღირებულება შეადგენს 5,000 ლარს. ასევე, 2022 წელს კლუბში განხორციელდა გიორგი ბედიაშვილის ტრანსფერი, რომელზეც მოვიპოვეთ 2022 წლის 20 ივლისის სატრანსფერო შეთანხმება 14,000 ლარზე **(დანართი 6)**. აღნიშნული მონაცემები შევუდარეთ ტრანსფერების ცხრილში მოცემულ ინფორმაციას. შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

4. მე-4 საკითხთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ტრანსფერების ცხრილში წარმოდგენილი ხუთი ტრანსფერიდან სამი არის უსასყიდლო, მეოთხე ტრანსფერის ვალდებულება 5,000 ლარის ოდენობით დაფარულია 2024 წლის 4 აპრილისა და 2024 წლის 30 აგვისტოს გადახდებით **(დანართი 7 და დანართი 8),** ხოლო მეხუთე ტრანსფერის ვალდებულება 14,000 ლარის ოდენობით არ დაფარულა, შესაბამისად მეხუთე ტრანსფერის შემთხვევაში აღნიშნული პროცედურა შეუსაბამოა.

5. მე-5 საკითხთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, 2025 წლის 31 მარტის მდგომარეობით, არსებობს გადახდის ვალდებულება 14,000 ლარი (გიორგი ბედიაშვილის ტრანსფერი) რომელიც ეხება გასული წლის 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის განხორციელებულ ტრანსფერს. ვინაიდან ხელშეკრულებაში არ არის გაწერილი ვალდებულების დაფარვის განსაზღვრული თარიღი, მხარეებს შორის დამატებითი შეთანხმება არ გაფორმებულა.

6. მე-6 საკითხთან დაკავშირებით ავღნიშნავთ, რომ 2025 წლის 31 მარტის მდგომარეობით გადახდა არ ყოფილა შესაბამისად აღნიშნული პროცედურა შეუსაბამოა.

ამას გარდა, ანგარიშს თან ერთვის 2025 წლის 24 თებერვლით დათარიღებული წერილი #94 საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის ცნობილი არ არის სხვა კლუბების მიმართ სატრანსფერო დავალიანების ან დავების არსებობის შესახებ **(დანართი 9)**.

რადგანაც ზემოაღნიშნული პროცედურები არ წარმოადგენს მარწმუნებელ გარიგებას, შესაბამისად ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე რწმუნებულებას ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

რომ განგვეხორციელებინა დამატებითი პროცედურები, ან ჩაგვეტარებინა აუდიტი ან მიმოხილვა აუდიტის ან მიმოხილვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შესაძლოა, ყურადღება გაგვემახვილებინა სხვა საკითხებზე, რაზეც დამატებით მოგახსენებდით.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კლუბისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) შესაბამისად.

ჩვენი ფირმა იყენებს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტს (ხმსს) 1-ს– „ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“. შესაბამისად, ფირმაში მოქმედებს ხარისხის კონტროლის სრულყოფილი სისტემა, მათ შორის დამტკიცებული დოკუმენტურად გაფორმებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური მოთხოვნების, პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენი მოხსენება ისახავს მხოლოდ წინამდებარე ანგარიშის პირველ პარაგრაფში მოცემულ მიზანს და განკუთვნილია მხოლოდ თქვენი ინტერესისთვის და არ გამოიყენება სხვა რაიმე მიზნით ან სხვა რომელიმე მხარისთვის გადასაცემად. წინამდებარე ანგარიში ეხება მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ ანგარიშგებებსა და პუნქტებს და არ ვრცელდება **შპს „საფეხბურთო კლუბ გაგრა“-ს** რომელიმე ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი
ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011
28 თებერვალი, 2025
თბილისი, საქართველო

დანართი 1 - ტრანსფერების ცხრილი

განზრახ გამოტოვებული გვერდი დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

საანგარიშგებო პერიოდისთვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თებ

საანგარიშგებო პერიოდი/თვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თებ

დაფინანსების ხელმძღვ.

ბიუჯეტიანი კლუბი ფეხბ.

ნომერი																							
	ბიუჯეტიანი ფეხბურთელების ჩამონ.					28.02.T მდგომარეობით სამუშაოებისთვის ოაზრ. ექსპლუატაციის / ოპერან. ეკონომიაში			28.02.T მდგომარეობით კაპიტალური ობიექტი ექსპლუატაციაში / ოპერან. ეკონომიაში					ოპერან. ეკონომიაში ან იყო ეკონომიური / ეფექტიანი (ამონაკლისი 28.02.T მეგზურის ეფექტის ანარიცხი) ექსპლუატაციაში / ოპერან. ეკონომიაში			ბალანსში ეფექტიანი ობიექტი 28.02.T მდგომარეობით		ნაფიცი ობიექტი 28.02.T მდგომარეობით ექსპლუატაციაში / ოპერან. ეკონომიაში	
I-III	სახელი	გვარი	ფეხბურთის ასაკი (ასაკი/ოთ)	ფეხბურთელის / ეკონომ. ფეხბურთელის ნომერი (ID/ბარათი)	„ბიუჯეტიანი კლუბი"																	
	ზაზა	ფირცხალა	11.06.2004	30.05.2024 ფეხბურთელი																		
	ბიბილეგი	ფალავანდიშვილი	01.11.2001	20.08.2024 ფეხბურთელი																		
	ბერდიკოლოზი	ბერი	04.04.2002	30.06.2024 ფეხბურთელის ოჯახი																		
	ალექსიოს	ოსმანი	04.06.2004	01.12.2024 ეროვნული ფეხბურთელი																		
	ალექსანდრე	ალიევი	11.06.2006	30.07.2024 ეროვნული ფეხბურთელი																		

ტრანსფერების კრედიტორული ცხრილი 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო პერიოდი: T-1: 31 დეკემბერი / T: 26 თებ

საანგარიშგებო პერიოდი/თვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თებ

ლიცენზიის მაძიებელი

საანგარიშგებო კლუბი ფიფა	
[illegible] T-1:	2023
[illegible] T:	2024

	მოთამაშეები ფეხბურთელთა ჩვენებებ					31.03.T მდგომარეობით ვადაგადაცილებული თანხები						
T-108	სახელი	გვარი	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	კომენტარი	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]							
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]							
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]							
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]							
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]							
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]							
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]							
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]							
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]							
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]							
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]							
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]							
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]							
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]							

საანგარიშგებო პერიოდისთვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თებ

ტრანსფერების კრედიტორული ცხრილი 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო პერიოდისთვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თ

ფიფა-ID

	მონაცემები ფეხბურთელის შესახებ					28.02.T მდგომარეობით სესხვალიანი ოთხა (ტრანსფერის / ფეხბურთის ყიდვებში)			28.02.T მდგომარეობით გადასახდელი ოთხა (ტრანსფერის / ფეხბურთის ყიდვებში)					თანხები, რომლებიც არ იყო გადასახდელი / გადაცილებული (ამჟამადაც 28.02.T მეშვეობის გადარიცხვის თარიღები) (ტრანსფერის / ფეხბურთის ყიდვებში)			ნაღდი გადასახდელი თანხა 28.02.T მდგომარეობით		საცალო თანხა 28.02.T მდგომარეობით (ტრანსფერის / ფეხბურთის ყიდვებში)	
1-23	დასახელება	სახელი	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible] 14																					
[illegible] 15																					
[illegible] 16																					
[illegible] 17																					
[illegible] 18																					
[illegible]																					

[illegible]

[illegible]

[illegible]

ტრანსფერების კრედიტორული ცხრილი 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო პერიოდისთვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თებ

ლიცენზიის მაძიებელი

	მაგალითური კლუბი ჯეკი
ხელმ. ფორმა:	ანგარიშგების წელი T-1: 2024
	ბიუჯეტირების წელი T: 2025

	მონაცემები ფეხბურთელის შესახებ					28.02.T რეგისტრირებული კონტროლიორებისა ან ოფიციალურ ანგარიშგებაში, რომლებიც ბიუჯეტის იქნა 31.03.T-ის ოფიციალურ / ოფიციალურ ანგარიშგებაში			28.02.T რეგისტრირებული კონტროლიორებისა ან ოფიციალურ ანგარიშგებაში, ბიუჯეტის ოფიციალურ / ოფიციალურ ანგარიშგებაში					28.02.T რეგისტრირებული კონტროლიორებისა ან ოფიციალურ ანგარიშგებაში, ბიუჯეტის ოფიციალურ ოფიციალურ 31.03.T-ის			
T-13	სახელი	მამისეული	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible] 10																	
[illegible] 11																	
[illegible] 12																	
[illegible] 13																	
[illegible] 14																	
[illegible]																	

[illegible]

[illegible] 28.02.2025

ტრანსფერების კრედიტორული ცხრილი 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო პერიოდისთვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თებ

ლიცენზიის მარეგისტრირებელი

	2024
	2025

						31.03.T მდგომარეობით ვადაგადაცილებული თანხები						
T-18												

დანართი 2 – ფეხბურთელის (დავით ნაჭყებიას) იჯარის/ტრანსფერის ხელშეკრულება

განზრახ გამოტოვებული გვერდი დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

ხელშეკრულება
№2024-030

ქ. თბილისი

20 იანვარი, 2024 წ.

ააიპ საფეხბურთო კლუბი სპაერი, ს/კ 406203558 (შემდგომში - "სპაერი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ჯავახიშვილის (პ/ნ 01350003302) სახით, ერთის მხრივ და მეს საფეხბურთო კლუბი გაგრა, ს/კ 200112476 (შემდგომში - "გაგრა"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვიქტორია დურგლიშვილის (პ/ნ 59002008076) სახით, მეორეს მხრივ, თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით "სპაერი" კისრულობს ვალდებულებას გადასცეს მისი კუთვნილი ფეხბურთელი - დავით ნაჭყებია "გაგრას", ხოლო "გაგრა" თავის მხრივ ვალდებულია აანაზღაურის ტრანსფერის ღირებულება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

2. ხელშეკრულების შესრულების ძირითადი პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული ტრანსფერის ღირებულება შეადგენს 5 000 (ხუთი ათასი ლარი, 00 თეთრი), რომელსაც "გაგრა" გადაიხდის შემდეგი პირობით:

2.1.1. 2500 (ორი ათას ხუთასი ლარი, 00 თეთრი) ლარს გაგრა გადაუხდის სპაერს 2024 წლის 29 თებერვლამდე.

2.1.2. დარჩენილი 2500 (ორი ათას ხუთასი ლარი, 00 თეთრი) ლარს გაგრა გადაუხდის სპაერს 2024 წლის 31 მაისამდე.

3. მხარეთა გარანტიები და უფლება-მოვალეობანი

3.1. სპაერი აცხადებს, რომ იგი ნამდვილად ფლობს ფეხბურთელ დავით ნაჭყებიას სატრანსფერო უფლებას და ამ ხელშეკრულების გაფორმებით არ არღვევს რაიმე ვალდებულებას ფეხბურთელის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის წინაშე;

3.2. გაგრა უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ მეაფასოს ფეხბურთელის საფეხბურთო უნარ-ჩვევები, ფიზიკური და მორალური მდგომარეობა და უფლებამოსილია გაუფორმოს მას პირადი ხელშეკრულება შესაბამისი ანაზღაურებით.

4. დამატებითი პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე;

4.2. ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას;

4.3. შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ მოქმედი კანონმდებლობით;

4.4. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

4.5. მხარეები წამოჭრილ დავას გადაჭრიან ს.ფ.ფ.-ში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე;

5. დასკვნითი დებულებანი

5.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია;

5.2. ხელშეკრულების თითოეული ეგზემპლარი ინახება მხარეებთან;

5.3. მხარეთა რეკვიზიტები:

აარს საფეხბურთო კლუბი სპაერი ს/კ 406203558 მის.: ქ.თბილისი, ყვარლის ქ.160; ბანკი: ს.ს. თიბისი ბანკი ა/ნ GE17TB7944336080100006 დირექტორი ბ.ჯავახიშვილი	შპს საფეხბურთო კლუბი გაგრა ს/კ 200112476 მის.: ქ.თბილისი, ჯ.ლომთათიძის ქუჩა, N51 დირექტორი ვ.დურგლიშვილი

დანართი 3 - ფეხბურთელის (ლევან შოვნაძის) უსასყიდლო იჯარის/ტრანსფერის ხელშეკრულება

განზრახ გამოტოვებული გვერდი დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

ფეხბურთელის დროებითი ტრანსფერის ხელშეკრულება

ქალაქი წყალტუბო 25 იანვარი 2024 წელი

შპს "საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი" (ს/კ 421277175) (შემდგომში "სამგურალი"), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის **თედო ფესტვენიძის** მიერ,

შპს "საფეხბურთო კლუბი გაგრა" (ს/კ: 200112476) (შემდგომში "გაგრა"), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ვიქტორია დურგლიშვილის მიერ,

ფეხბურთელი ლევან შოენაძე (შემდგომში "ფეხბურთელი") (დაბადებული 19.11.1997 წელს, პირადი ნომერი 61001075983)

შემდგომში ერთად "მხარეები",

„ფეხბურთელს" გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება „სამგურალთან", რომელიც ძალაშია 31.12.2025-ის ჩათვლით.

„სამგურალი" წარმოადგენს „ფეხბურთელის" ეკონომიკური და ფედერაციული უფლებების ერთადერთ და უპირობო მესაკუთრეს.

„მხარეები" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანია ფეხბურთელ ლევან შოენაძის (დაბადებული 19.11.1997 წელი, პირადი ნომერი 61001075983) უსასყიდლო იჯარა (დროებითი რეგისტრაცია) "სამგურალიდან" "გაგრაში" 2024 წლის 25 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. (შემდგომში "იჯარის პერიოდი").

2. "სამგურალი" ვალდებულია ნება დართოს „ფეხბურთელს" ითამაშოს "გაგრაში" 2024 წლის 25 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

3. "გაგრა" ვალდებულია გაფორმოს ფეხბურთელ ლევან შოენაძესთა პროფესიული შრომითი ხელშეკრულება იჯარის პერიოდის ვადით (2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).

4. იჯარის პერიოდში „ფეხბურთელს" უნარჩუნდება „სამგურალთან" მოქმედი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების ნაწილი ყოველთვიური დარიცხული 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. „გაგრა" ვალდებულია გაუფორმოს „ფეხბურთელ" ლევან შოენაძეს პროფესიული შრომითი ხელშეკრულება იჯარის პერიოდის ვადით 2024 წლის 25 იანვრიდან 2024

თ. ფესტვენიძე

წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ თანხაზე დამატებით, ფეხბურთელის შრომის ანაზღაურება უნდა განისაზღვრის მხარეთა („გაგრა" და "ფეხბურთელი") შეთანხმებით.

6. „სამგურალის" უფლება აქვს ზაფხულის სარეგისტრაციო პერიოდის მიმდინარეობისას, კერძოდ, 2024 წლის 20 ივლისის ჩათვლით, მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა კომპენსაციის გადახდის გარეშე. „გაგრა" კისრულობს ვალდებულებას „სამგურალის" მოთხოვნისთანავე გაფორმოს შეთანხმება ამ იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, ასევე, უზრუნველყოს „გაგრასა" და „ფეხბურთელს" შორის გაფორმებული შრომითი კონტრაქტის შეწყვეტა.

7. ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული პირობით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში „სამგურალს" კომპენსაციის გადახდა არ დაეკისრება.

8. იჯარის მოქმედების პერიოდში, "გაგრას" უფლება არ აქვს „ფეხბურთელი" შეიყვანოს ს/კ „სამგურალის" წინააღმდეგ გასამართი მატჩის განაცხადში.

9. იმ შემთხვევაში თუ "ფეხბურთელი" იჯარის პერიოდის განმავლობაში მიიღებს ტრავმას ან სხვაგვარ ჯანმრთელობის დაზიანებას, რაც დაკავშირებული იქნება მის სპორტულ მოღვაწეობასთან "გაგრაში", "გაგრა" დაფარავს სამედიცინო და ფარმაცევტული მომსახურების ხარჯებს.

"გაგრა" ვალდებულია „ფეხბურთელის" ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მოახდინოს „სამგურალის" სამედიცინო პერსონალის ინფორმირება. "ფეხბურთელთან" დაკავშირებით ნებისმიერი სამედიცინო მანიპულაციის/პროცედურის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება "სამგურალის" სამედიცინო პერსონალთან შეთანხმებით.

10. "გაგრა" აღიარებს "სამგურალის" საკონტრაქტო და სატრანსფერო უფლებებს, ფეხბურთელ ლევან შოვნაძეზე.

11. იჯარის მოქმედების პერიოდში "სამგურალსა" და „ფეხბურთელს" შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება არ ჩერდება.

12. მხარეებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის და კისრულობენ ვალდებულებას სრულად აუნაზღაურონ ერთმანეთს ამ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

13. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

14. შეთანხმების მოულწველობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (შემდგომში „სფფ") სადისციპლინო და ხაფეხბურთო დავების

3.125

თ. ფანტუნიძე

ლ. ...

განმხილველი კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სფფ-ს სააპელაციო კომიტეტში. სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს „საფეხბურთო დავების განმხილველ სპორტულ ტრიბუნალში" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404882409, მისამართი: ილ. ჭავჭავაძის გაშრ., №7ა ლოკომოტივის სტადიონის სათადარიგო შესასვლელი), რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ნებისმიერ დავაზე, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობის და შეწყვეტის შესახებ.

15. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ამ ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

16. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები ან/და დამატებები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

17. ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის მანამდე არსებული და ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

18. ამ ხელშეკრულების და ფეხბურთელის რეგისტრაციას სფფ-ში ახორციელებს „გაგრა".

19. ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგანაც თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს ხოლო ერთი ეგზემპლარი სფფ-ს სამეკიბრო განყოფილებას.

"სამგურალი"

თ. ფესტვანიძე

აღმასრულებელი დირექტორი

"გაგრა"

ვ. [illegible]

აღმასრულებელი დირექტორი

"ფეხბურთელი"

ლევან შოფნაძე

რეგისტრირებულია სფფ-ში

დანართი 4 - ფეხბურთელის (ვანო მჭედლიშვილის) უსასყიდლო იჯარის/ტრანსფერის ხელშეკრულება

განზრახ გამოტოვებული გვერდი დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

საიჯარო ხელშეკრულება

ფეხბურთელის იჯარის შესახებ

ქ.ბათუმი 1 თებერვალი, 2024 წელი

შ.პ.ს.„დინამო ბათუმი" (ს/კ 245622205) იურიდიული მისამართი: ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №89 (შემდგომში ს.კ. „დინამო ბათუმი") მისი დირექტორის არჩილ ბოლქვაძის სახით ერთის მხრივ, და შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი გაგრა (ს/კ 200112476) იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ჭ. ლომთათიძის 51 (შემდგომში ს.კ.„გაგრა") მისი დირექტორის ვიქტორია დურგელიშვილის სახით მეორეს მხრივ და მოთამაშე ვანო მჭედლიშვილი (პ/ნ 01201156947, დაბ: 04.04.2004 წ.), ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1 ხელშეკრულების საგანი:

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მოთამაშე ვანო მჭედლიშვილის იჯარა ს.კ. „დინამო ბათუმი"-დან ს.კ.„გაგრა"-ში 2024 წლის 1 თებერვლიდან 2024 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 2 მხარეთა ვალდებულებები:

2.1 ს.კ. "დინამო ბათუმი" ვალდებულია ნება დართოს მოთამაშე ვანო მჭედლიშვილს ითამაშოს ს.კ „გაგრა"-ში საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, 2024 წლის 1 თებერვლიდან 2024 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ს.კ „გაგრა" ვალდებულია გაუფორმოს პირადი კონტრაქტი მოთამაშე ვანო მჭედლიშვილს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შესაბამისი პირობებით.

2.3 ს.კ. „გაგრა" აღიარებს შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი ს.კ. „დინამო ბათუმი" -ს საკუთრების უფლებას მოთამაშე ვანო მჭედლიშვილზე.

2.4 მოთამაშე ვანო მჭედლიშვილი ვალდებულია ითამაშოს ს.კ. „გაგრა"-ში იჯარის ვადის გასვლამდე.

მუხლი 3 დავები.

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით სადავო საკითხები წყდება მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცემა სფფ-ს მიერ მითითებულ დავების განმხილველ ორგანოს.

3.2 ამ კონტრაქტის და ფეხბურთელის რეგისტრაციას სფფ-ში ანხორციელებს ს.კ. „გაგრა".

მუხლი 4 [illegible]

4.1 წინასწარგადახდა ხელშეკრულება შესაბამისად ეტაპობრივ წესზე 6 თანაბარი ნაწილის [illegible] ეტაპობრივ ანგარიშსწორებაზე ჩათვლიანად [illegible] ოთხი ინვოისი მხარეებთან ფაქტობრივ [illegible]

4.2 [illegible] ეტაპობრივი ფ-დამატებები [illegible] ნაწილად [illegible] [illegible] ინფორმაციის [illegible]

მხარეთა ხელმოწერები

შპს „[illegible]"

დირექტორი

[illegible]

შპს „[illegible]"

დირექტორი

[illegible]

მოიჯარე

[illegible]

დანართი 5 - ირაკლი იაკობიძის უსასყიდლო იჯარის ხელშეკრულება

განზრახ გამოტოვებული გვერდი დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

ფეხბურთელის იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი **26 ივნისი, 2024 წ.**

მპს "საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი" (ს/კ 204423454) (შემდგომში "დინამო"), მისი დირექტორის **ზაზა დოლიძის** სახით,

მპს „საფეხბურთო კლუბი გაგრა" (ს/კ 200112476) (შემდგომში "გაგრა") მისი დირექტორის **ვიქტორია ღურგლიშვილის** სახით,

ფეხბურთელი ირაკლი იაკობიძე (შემდგომში "ფეხბურთელი") (დაბადებული 25.01.2002წ. პირადი ნომერი 54001057325),

შემდგომში ერთად "მხარეები",

„ფეხბურთელს" გაფორმებული აქვს მრომითი კონტრაქტი „დინამოსთან" 01.01.2024-დან - 31.12.2026 -მდე.

„დინამო" წარმოადგენს „ფეხბურთელის" ეკონომიკური და ფედერაციული უფლებების ერთადერთ და უპირობო მესაკუთრეს.

„მხარეები" ვდებთ წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანია ფეხბურთელ ირაკლი იაკობიძის (დაბადებული 25.01.2002წ. პირადი ნომერი 54001057325) უსასყიდლო იჯარა "დინამოდან" "გაგრაში" 2024 წლის 26 ივნისიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე. (შემდგომში "იჯარის პერიოდი").

2. "დინამო" ვალდებულია ნება დართოს ფეხბურთელ ირაკლი იაკობიძეს ითამაშოს "გაგრაში" 2024 წლის 26 ივნისიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

3. "გაგრა" ვალდებულია გააფორმოს ფეხბურთელ ირაკლი იაკობიძესთან პროფესიული მრომითი კონტრაქტი იჯარის პერიოდის ვადით (2024 წლის 26 ივნისიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე).

4. იჯარის პერიოდში „ფეხბურთელის" ხელფასს იხდის „გაგრა" და „დინამო". ფეხბურთელის მრომითი ანაზღაურება განისაზღვრება მხარეთა - „გაგრა" და „ფეხბურთელი" შეთანხმებით, ხოლო „დინამო" გადაუხდის „ფეხბურთელს" ყოველთვიურ ხელფასს, "დინამოსა" და "ფეხბურთელს" შორის დამატებით გაფორმებული შეთანხმების თანახმად.

5. „ფეხბურთელი" თანახმაა და იღებს ვალდებულებას ამ იჯარის პერიოდის ვადით გააგრძელოს „დინამოსთან" გაფორმებული შრომითი კონტრაქტის მოქმედების ვადა, რაზეც მხარეებს - „დინამოს" და „ფეხბურთელს" შორის დამატებითი შეთანხმება გაფორმდება.

6. იჯარის მოქმედების პერიოდში "გაგრას" უფლება არ აქვს მონაწილეობა მიაღებინოს ფეხბურთელს ს/კ „დინამო თბილისის" წინააღმდეგ გასამართ მატჩებში.

7. იმ შემთხვევაში თუ "ფეხბურთელი" იჯარის პერიოდის განმავლობაში მიიღებს სპორტულ ტრავმას ან სხვაგვარ ჯანმრთელობის დაზიანებას, რაც დაკავშირებული იქნება მის სპორტულ მოღვაწეობასთან "გაგრაში", "გაგრა" დაფარავს სამედიცინო და ფარმაცევტული მომსახურების ხარჯებს.

"გაგრა" ვალდებულია „ფეხბურთელის" ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მოახდინოს "დინამოს" სამედიცინო პერსონალის ინფორმირება. "ფეხბურთელთან" დაკავშირებით ნებისმიერი სამედიცინო მანიპულაციის/პროცედურის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება "დინამოს" სამედიცინო პერსონალთან შეთანხმებით.

8. "გაგრა" აღიარებს "დინამოს" საკონტრაქტო და სატრანსფერო უფლებებს, ფეხბურთელ ირაკლი იაკობიძეზე.

9. თუ „დინამო" განახორციელებს „ფეხბურთელის" ტრანსფერს მესამე კლუბში, „გაგრა" „დინამოს" სასარგებლოდ თმობს თავის უფლებას მოითხოვოს „ფიფას ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერების შესახებ" დებულების, ასევე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დადგენილი წვრთნისა და აღზრდის კომპენსაცია და სოლიდარობის გადასახადი, ასევე ნებისმიერი სხვა თანხის მოთხოვნის უფლებას ფეხბურთელ ირაკლი იაკობიძესთან დაკავშირებით.

მხარეთა პასუხისმგებლობა და დავების გადაჭრის წესი

10. მხარეებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის და კისრულობენ ვალდებულებას სრულად აუნაზღაურონ ერთმანეთს ამ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

11. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

12. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (შემდგომში „სფფ") სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სფფ-ს საапელაციო კომიტეტში. საапელაციო კომიტეტის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს „საფეხბურთო დავების განმხილველ სპორტულ ტრიბუნალში"

(საიდენტიფიკაციო ნომერი: 404882409, მისამართი: ილ. ქავთარაძის გამზ., №76ა ლოკომოტივის სტადიონის სათადარიგო შესასვლელი), რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ნებისმიერ დავაზე, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობის და შეწყვეტის შესახებ.

დასკვნითი დებულებები

13. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ამ ხელშეკრულების მინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

14. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები ან/და დამატებები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

15. ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის მანამდე არსებული და ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

16. ამ ხელშეკრულების და ფეხბურთელის რეგისტრაციას სფფ-ში აწორციელებს „გაგრა".

17. ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგანაც თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს ხოლო ერთი ეგზემპლარი სფფ-ს საშეკიბრო განყოფილებას.

"დინამო"

დირექტორი

ზაზა დოლიძე

"გაგრა"

დირექტორი

ვიქტორია ფურცელაშვილი

"ფეხბურთელი"

ირაკლი იაკობიძე

რეგისტრირებულია სფფ-ში

დანართი 6 - გიორგი ბედიაშვილის სატრანსფერო შეთანხმება

განზრახ გამოტოვებული გვერდი დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

"რეგისტრაცია"
№ 85714
"26" 08 2022 წ.

სატრანსფერო შეთანხმება

ერთის მხრივ, **შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი"** (ს/კ 204423454) (შემდგომში "დინამო") წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზაზა დოლიძის** სახით ,

მეორეს მხრივ, **შპს "საფეხბურთო კლუბი გაგრა"** (ს/კ 200112476) (შემდგომში „გაგრა") წარმოდგენილი მისი დირექტორის **გოდერძი ჩიხრაძის** სახით,

მესამე მხრივ, **პროფესიონალი ფეხბურთელი გიორგი ბედიაშვილი** (დაბ. 21.06.2005, პ/ნ 36101057584) (შემდგომში "ფეხბურთელი"), წარმოდგენილი მისი კანონიერი წარმომადგენლების მშობლების, ალექსანდრე ბედიაშვილის (პ/ნ 36001000283) და ლია ბედიაშვილის (პ/ნ 36001003558) სახით,

შემდგომში ერთად "მხარეები" ვდებთ წინამდებარე სატრანსფერო შეთანხმებას (შემდგომში "შეთანხმება") შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1.1 „დინამოსა" და პროფესიონალ ფეხბურთელს **გიორგი ბედიაშვილს** (დაბ. 21.06.2005, პ/ნ 36101057584) შორის გაფორმებულია მოქმედი შრომითი კონტრაქტი 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

1.2. ამ შეთანხმებით მხარეები 2022 წლის 20 ივლისიდან ახორციელებენ ფეხბურთელის ტრანსფერს (მუდმივ ტრანსფერს) "გაგრაში".

1.3. ამ შეთანხმების ხელმოწერისთანავე ფეხბურთელის სატრანსფერო და ეკონომიკური უფლებების მესაკუთრე გახდება „გაგრა".

1.4. ფეხბურთელი ეთანხმება მის რეგისტრაციას „დინამოდან" „გაგრაში".

1.5. „გაგრა" ვალდებულია გააფორმოს ფეხბურთელ გიორგი ბედიაშვილთან შრომითი კონტრაქტი.

2. სატრანსფერო თანხა და დამატებითი ფინანსური პირობები

2.1. „გაგრა" ვალდებულია გადაუხადოს „დინამოს" სატრანსფერო თანხა 14 000 (თოთხმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

2.2. „გაგრა" თმობს ფეხბურთელ **გიორგი ბედიაშვილის** (დაბ. 21.06.2005, პ/ნ 36101057584) მომავალი ტრანსფერიდან მუდმივი/ ან დროებითი გასხვისებიდან (იჯარა) მიღებული სატრანსფერო თანხის 30% (ოცდაათი) პროცენტს „დინამოს" სასარგებლოდ, რომლის გადახდას „გაგრა" განახორციელებს სატრანსფერო თანხის მესამე მხარის (სხვა კლუბის) მიერ „გაგრას" საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან 5 დღის ვადაში.

2.3. სატრანსფერო თანხა მოიცავს კანონით გათვალისწინებულ დამატებითი ღირებულების გადასახადს.

2.4. ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, "დინამო" ვალდებულია გააკეთოს ყველაფერი, რაც საჭიროა, რათა დროულად მოხდეს „ფეხბურთელის" ტრანსფერი „გაგრაში", კერძოდ, მოთამაშე გაათავისუფლოს ყველა მისი საკონტრაქტო ვალდებულებისაგან.

3. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაჭრის წესი

3.1. მხარეებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა, ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის და კისრულობენ ვალდებულებას სრულად აუნაზღაურონ ერთმანეთს ამ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.2. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

3.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სფფ-ს სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სფფ-ს სააპელაციო კომიტეტში. სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს „საფეხბურთო დავების განმხილველ სპორტულ ტრიბუნალში".

3.4. ხელმომწერი მხარეები აღიარებენ FIFA-ს, UEFA-ს და სფფ-ის დებულებებს და გადაწყვეტილებებს, ასევე სფფ-სთან არსებული საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული არბიტრაჟისა და ლოზანაში მდებარე სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS) იურისდიქციებს.

4.. დასკვნითი დებულებები

4.1. ეს შეთანხება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

4.2. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე. თითოეულ მხარეს გადაეცემა ხელშეკრულების 1 (ერთი) ეგზემპლარი ხოლო ერთი 1 ეგზემპლარი გადაეცემა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას.

თარიღი: 20.07.2022

„გაგრა"

დირექტორი

გოდერძი ჩიხრაძე

„დინამო"

დირექტორი

ზაზა დოლიძე

„ფეხბურთელი"

გიორგი ბედიაშვილი

კანონიერი წარმომადგენლები:

ალექსანდრე ბედიაშვილი

ლია ბედიაშვილი

დანართი 7 - დავით ნაჭყებიას სატრანსფერო ვალდებულების დაფარვის საგადახდო დავალება (2024 წლის 04 აპრილი)

განზრახ გამოტოვებული გვერდი დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

საგადასახადო დავალება N1
Payment Order N1
04.04.2024

რეფ.#/Ref# 353106513

გადამხდელის დასახელება: შპს საფეხბურთო კლუბი გაგრა, 200112476 Sender's Name: გადამხდელის ანგარიში: GE40BS0000000005636501 Sender's Account: გადამხდელის ბანკი/Sender's Bank: სს ბაზისბანკი ბანკის კოდი/Bank Code: CBASGE22	თანხა/Amount **2 500.00** თანხა სიტყვიერად/Amount in Words ორი ათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა Information on person on behalf of whom the payment is made დასახელება: შპს საფეხბურთო კლუბი გაგრა, 200112476 Payer's Name: საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი/Payer's ID 200112476	
მიმღების დასახელება: ააიპ საფეხბურთო კლუბი სპაერი Receiver's Name: მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: GE17TB7944336080100006 Receiver's Account/Treasury Code: მიმღების ბანკი/ხაზინა: ბანკის კოდი/Bank Code: TBCBGE22 Receiver's Bank/Treasury: სს "თიბისი ბანკი"	ბანკის აღნიშვნები/Remarks of the Bank ბანკში შემოსვლის თარიღი Date of receipt to the bank 04.04.2024 გატარებულია ბანკის მიერ Date of accounting by the bank 04.04.2024
გადახდის დანიშნულება: Details of Payment: დავით ნაჭყებიას ტრანსფერის ღირებულების ნაწილი, ხელშეკ 20,01,24. მ/ჩ-04,04,24	ხელმოწერა/Signature ----------
დამატებითი ინფორმაცია: Additional Info:	
ხელმოწერები Signatures გ.ა Stamp	

დანართი 8 - დავით ნაჭყებიას სატრანსფერო ვალდებულების დაფარვის საგადახდო დავალება (2024 წლის 30 აგვისტო)

განზრახ გამოტოვებული გვერდი დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

საგადასახადო დავალება N1
Payment Order N1
30.08.2024

რეფ.#/Ref# 387092556

გადამხდელის დასახელება: შპს საფეხბურთო კლუბი გაგრა, 200112476 Sender's Name:	თანხა/Amount
გადამხდელის ანგარიში: GE71BS0000000000160002 Sender's Account:	**2 500.00**
გადამხდელის ბანკი/Sender's Bank: სს ბაზისბანკი ბანკის კოდი/Bank Code: CBASGE22	თანხა სიტყვიერად/Amount in Words ორი ათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა Information on person on behalf of whom the payment is made დასახელება: შპს საფეხბურთო კლუბი გაგრა, 200112476 Payer's Name: საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი/Payer's ID 200112476	
მიმღების დასახელება: ააიპ საფეხბურთო კლუბი სპაერი Receiver's Name:	ბანკის აღნიშვნები/Remarks of the Bank
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: GE17TB7944336080100006 Receiver's Account/Treasury Code:	ბანკში შემოსვლის თარიღი Date of receipt to the bank 30.08.2024
მიმღების ბანკი/ხაზინა: ბანკის კოდი/Bank Code: TBCBGE22 Receiver's Bank/Treasury: სს "თიბისი ბანკი"	გატარებულია ბანკის მიერ Date of accounting by the bank 30.08.2024
გადახდის დანიშნულება: დავით ნაჭყებიას ტრანსფერის ღირებულების დაფარვა, ხელშეკ 20,01,24. Details of Payment:	ხელმოწერა/Signature ----------
დამატებითი ინფორმაცია: Additional Info:	
ხელმოწერები Signatures ბ.ა Stamp	

დანართი 9 - ცნობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან სხვა კლუბების მიმართ სატრანფერო დავალიანების შესახებ დათარიღებული 2025 წლის 24 თებერვლით

განზრახ გამოტოვებული გვერდი დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

№94
24.02.2025

ცნობა

ეძლევა ს.კ. „ბაგრას" მასზედ, რომ სფფ-ისთვის ცნობილი არ არის კლუბის თანამშრომლების მიმართ სახელფასო დავალიანებების შესახებ და სხვა კლუბების მიმართ სატრანსფერო დავალიანებების და დავების არსებობის შესახებ.

ცნობა ეძლევა კლუბების ლიცენზირების განყოფილებაში წარსადგენად.

რევაზ შენგელია
გენერალური სამდივნოს უფროსი